

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო მინისტრო, გაცნობებთ, რომ სამოქალაქო მოძრაობა „თანამოზიარე“ თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობას მაქსიმალურად ჩაერთოს სახელმწიფოს მართვის საკითხებში და ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ფორმების გაუმჯობესებას.

უდავოა, რომ დღეისათვის ვითარება სახელმწიფოში დამაბუღელია, სახელისუფლებო სტრუქტურებს საზოგადოების მხრიდან ნდობის საკითხებში გარკვეული პრობლემები გაუჩნდა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა დაკავშირებულია მთავარი პროკურორის თანამდებობასთან.

მივსალმებით თქვენს გადაწყვეტილებას, რომ გაუწიოთ ანგარიში საზოგადოებას და გაითვალისწინოთ მისი აზრი მთავარი პროკურორის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის შერჩევისას.

სამოქალაქო მოძრაობა „თანამოზიარე“ დიდი პატივით იღებს თქვენს შემოთავაზებას და გთავაზობთ ჩვენი მოძრაობის აქტიური მხარდამჭერისა და კონსულტანტის, ბატონ იოსებ ბაჩიაშვილის კანდიდატურას.

ბატონი სოსო გახლავთ კვალიფიციური იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ორი იურიდიული აკადემიის ნამდვილი წევრი, უპატიოსნესი და პრინციპული პიროვნება.

ბატონი სოსოს აქვს სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის უზარმაზარი და ფასდაუდებელი გამოცდილება. ამავე დროს, ბატონი სოსო სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით საზოგადოების ყველა ფენაში, როგორც დეწლმოსილ პიროვნება და, ასევე ახალგაზრდებს შორის.

ბატონ სოსოს ავტორობით გამოცემულია წიგნი „ერი და დრო, ანუ, გვიყვარს ქართველებს საქართველო, თუ არა?“. წიგნში დღევანდელი მდგომარეობის დამახასიათებელ საჭირობო პრობლემების განხილვასთან ერთად, ჩამოყალიბებულია სასამართლო სისტემის და ზოგადად, სასამართლო ხელისუფლების უმწვავესი პრობლემები და მათი გადაჭრის მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომები.

ვფიქრობთ, რომ ბატონი სოსო ბაჩიაშვილის კანდიდატურა მაქსიმალურად აკმაყოფილებს დღევანდელი რეალობის მოთხოვნებს.

გთხოვთ, გულისყურით მოეკიდოთ ჩვენს შემოთავაზებას და დანიშნოთ ბატონი იოსებ ბაჩიაშვილი საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე.

სამოქალაქო მოძრაობა „თანამოზიარეს“

აღმასრულებელი დირექტორი

ნიკოლოზ მიქაუტიძე

13.06.2018 წ.

591 551509

საქართველოს იუსტიციის მინისტროს
პროცესუალური განყოფილება (სამართლებრივი
საქმების განყოფილება, პროკურატურა)
13 06 2018 წ.
№ 01/11508